



საქართველოს სოც.



საბჭ.



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1927 წ.

იუსტიციის სასახლსო კომისარიატის გამოსცმა

1927 წ. დეკემბრის 15

№ 9

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

121. დადგენილება № 73 ც. ა. კ. და ს. კ. ს. —სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსიდან 204, 205, 206, 207, 208, 209 მუხ. და 210 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტების ამოშლის შესახებ.

122. დადგენილება № 74 ც. ა. კ. —სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციული კომისიის შესახებ.

123. დადგენილება № 75 ც. ა. კ. და ს. კ. ს. —საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის „ბრუნვაში მოქცეული საქონლის დაგირავების წესის“ დამატების შესახებ.

124. დადგენილება № 76 ც. ა. კ. და ს. კ. ს. —საქართველოს ს. ს. რ. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 199 მუხ. შენიშვნის შეცვლის შესახებ.

125. დადგენილება № 77 ც. ა. კ. და ს. კ. ს. —სამოქალაქო სამართლის კოდექსის 73, 87, 181 და 341 მუხლების შევსების შესახებ.

126. დადგენილება № 78 ც. ა. კ. და ს. კ. ს. — გირავენობის მოწმობის გაცემისა და სარგებლობის წესის 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

127. დადგენილება № 79 ც. ა. კ. —სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის სექტემბრის 26-ს დეკრეტის მე-3 მუხლისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. აგვისტოს 6-ს დეკრეტის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ.

128. დადგენილება № 80 ც. ა. კ. და ს. კ. ს. —საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების დებულებისათვის „დამცველთა კოლეგიის“ თაობაზე ახალი მე-VI თავის დამატების შესახებ.

129. დადგენილება № 81 ც. ა. კ. და ს. კ. ს. —ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ.

130. დადგენილება № 82 ც. ა. კ. და ს. კ. ს. —შრომა-გასწორების კოდექსის დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

131. დადგენილება № 83 ც. ა. კ. და ს. კ. ს. —ფიზიკური კულტურის სფეროში მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე 1925 წლის ივლისის 20-ს თარიღითა და 38 №-ით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

132. დადგენილება № 84 ც. ა. კ. და ს. კ. ს. —შენობების დემუნციპალიზაციის წესის შესახებ.

133. დადგენილება № 85 ც. ა. კ. და ს. კ. ს. —სამხედრო სამსახურის ინვალიდთა და მათი ოჯახებისა, გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელარმიისაში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარდაკარგულ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სამხედრო სამსახურის ინვალიდთა და მათი ოჯახებისა, ომში გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელ არმიისაში გაწვეულთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარდაკარგულ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის შესახებ.

134. დადგენილება № 86 ც. ა. კ. და ს. კ. ს. —მიწის კოდექსის 96 მუხლისათვის მე-3 შენიშვნის დამატების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

135. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულებისათვის 17¹ და 17² მუხლის დამატების შესახებ.

136. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

137. დადგენილება ს. კ. ს.—სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს მიერ უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთათვის დანიშნული სტიპენდიების მათთვისვე დატოვების შესახებ.

138. დადგენილება ს. კ. ს.—ტეხნიკუმების დებულების დამტკიცების შესახებ.

ტეხნიკუმების დებულება.

139. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საგეგმო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საგეგმო კომისიის შესახებ.

140. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს ს. ს. რ. პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოსთან არსებული საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტის რესპუბლიკანური საექსპერტო-საგამომცდელი კომისიის დაარსებისა და ამ კომისიაში იმ პირთათვის გამოცდების შემოღების შესახებ, რომელნიც ყოველი უწყებისა და ყოველი ტიპის ბიბლიოთეკაში და საბიბლიოთეკო ტეხნიკური მომუშაების თანამდებობაზე დაინიშნებიან.

დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოსთან არსებული საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტის საექსპერტო-საგამომცდელი კომისიის შესახებ.

141. დადგენილება ს. კ. ს.—1927-28 წლის ხარჯთ-ალრიცხვებით საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირების შესახებ.

ხანსკალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება.

121. დადგენილება № 73 ც. ა. ძ. და ს. ძ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსიდან 204, 205, 206, 207, 208, 209 მუხ. და 210 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტების ამოშლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ს დადგე-

ნიღების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსიდან ამოიშალოს 204, 205, 206, 207, 208, 209 მუხ. და 210 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. სექტემბრის 5.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 207 №-ში 1927 წ. სექტემბრის 13.

122. დადგენილება № 74 ც. ა. ძ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციული კომიტეტის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. სექტემბრის 5.
ტფილისი-სასახლე.

დებულება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციული კომისიის შესახებ.

1. ადმინისტრაციული კომისიის მიზანს შეადგენს:
 - ა) საქართველოს სსრ ტერიტორიალურად დაყოფის საკითხების განხილვა



და მოკავშირე და ავტონომიურ ერთეულებსა, მაზრებსა და თემებს შორის საზღვრების დაწესება;

ბ) ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიალური დაყოფის შესახებ თავისი დასკვნის წარდგევა;

გ) მოკავშირე და ავტონომიური ერთეულებისა, მაზრებისა და თემების ერთეულებს შორის აღძრული ტერიტორიალური სადაო საკითხების განხილვა.

2. აღმინისტრაციული კომისია თავის მუშაობას აღმინისტრაციული დაყოფის შესახებ შეთანხმებს საქართველოს სსრ ყველა დაინტერესებულ უწყებასთან.

3. კომისია ყველა საქმეს განიხილავს სახალხო კომისარიატებისა, მოკავშირე და ავტონომიურ ერთეულების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სამაზრო აღმასკომების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელნიც თავის დროზე გამოწვეულ იქნებიან კომისიის თავმჯდომარის მიერ, ხოლო წარმომადგენლებს ადგილებიდან დაევალებათ წარადგინონ კომისიაში დასაბუთებული დასკვნა განსახილველი საკითხების გამო.

4. კომისია შესდგება სამი წევრისაგან, რომელთაც დანიშნავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

5. კომისია საკუთარ აპარატს არ შექმნის და გამოიყენებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების აპარატს.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 218 №-ში 1927 წ. სექტემბრის 27.

123. დადგენილება № 75 ც. ა. ქ. და ს.კ.ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის „ბრუნვაში მოქცეული საქონლის დაგირავების წესის“ დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სამოქ. სამ. კოდექსის „სანივთო სამართლის“ ნაწილში შეტანილ იქნეს კარი IV „ბრუნვაში მოქცეული საქონლის დაგირავების შესახებ“ შემდეგი რედაქციით:



IV. ბრუნვაში მოქცეული საქონლის დაგირავება.

მუხ. 105¹. საქონელი შეიძლება დაგირავებულ იქნეს იმ პირობით, რომ იგი დაეტოვოს დამგირავებელს და ამ უკანასკნელს მიეცეს უფლება შესცვალოს დაგირავებული საქონლის ერთი ნაწილი ამავე საქონლის ასორტიმენტის სხვა საქონლით, ხოლო ისე კი, რომ დამგირავებელს ყოველთვის ხელთ რჩებოდეს იმდენი საქონელი, რომლის ფასიც ხელშეკრულებით შეპირებულ თანხაზე ნაკლები არ იყოს (ბრუნვაში მოქცეული საქონლის დაგირავება).

მუხ. 105². გირავნობის უფლება ბრუნვაში მოქცეულ საქონელზე წარმოიშობა ხელშეკრულების დადების მომენტიდან.

მუხ. 105³. ბრუნვაში მოქცეული საქონლის დაგირავების დროს დაცულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) საქონელი უნდა მოთავსდეს სწორედ იმ ადგილას, რაც აღნიშნული იქნება მოგირავნოსთან დადებულ ხელშეკრულებაში (მაღაზია, საწყობი), დამგირავებლის სხვა ქონებიდან განცალკევებით და

ბ) დაგირავებული ქონება უნდა აიწეროს.

მუხ. 105⁴. ბრუნვაში მოქცეული საქონლის დაგირავების დროს, ყოველი საქონელი, რაც-კი გატანილი იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილიდან, განთავისუფლდება გირავნობისაგან, ხოლო ყოველი საქონელი, მოთავსებული ამ ადგილას, გახდება გირავნობის საგნად.

მუხ. 105⁵. დამგირავებელი მოვალეა ყოველ ცალკე გირაოსათვის აწარმოოს განსაკუთრებული სასაქონლო დავთარი. სასაქონლო დავთარში აღინიშნება დაგირავებული საქონლის მოძრაობა პირველი ოპერაციიდან უკანასკნელი ოპერაციის შესრულების დღემდე.

მუხ. 105⁶. მოგირავნეს უფლება აქვს ყოველთვის, როდესაც კი მოისურვებს, შეამოწმოს დაგირავებული საქონლის რაოდენობა, სახე და ღირებულება, აგრეთვე ის, თუ რა პირობებში და რანაირ ადგილას ინახება საქონელი.

მუხ. 105⁷. ბრუნვაში მყოფი საქონლის დაგირავების დროს შეფარდებულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქ. სამ. კოდ. 85, 86, 88-91, 94, 95, 97, 99-104 მუხ.

მუხ. 105⁸. უკეთუ დამგირავებელი არ შეასრულებს 94, 97, 105¹, 105², 105⁵ და 105⁶ მუხ. გათვალისწინებულ პირობებს, მოგირავნეს უფლება ეძლევა ვადამდე გადაახდევინოს გირაოთი უზრუნველყოფილი ვალი.

მუხ. 105⁹. მხარეთა მიერ განსაზღვრული საქონლის მოდმივი ნარჩენის (105¹) გასხვისება მთლად ან ნაწილობრივ, 105⁸ მუხ. გათვალისწინებული შედეგის გარდა, გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით.

2. სამოქ. სამ. კოდექსის 90 მუხ. შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 90. გირავნობის ხელშეკრულება წერილობითი უნდა იყოს. ბრუნვაში მოქცეული საქონლის გირავნობის ხელშეკრულება, ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული. შენობისა და აღნაგობის უფლების დაგირავება, ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული

და შემდეგ ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილების რეგისტრაციაში გატარებული. შენობისა და აღნაგობის უფლების გირავნობის აქტის შინაარსს სანოტარო განყოფილება აცნობებს სათანადო კომუნალურ განყოფილებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. სექტემბრის 5.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 218 №-ში 1927 წ. სექტემბრის 27.

124. დადგენილება № 76 ც. ა. ტ. და ს. ტ. ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 199 მუხ.
შენიშვნის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 სიმბრის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 199 მუხ. შენიშვნა შეიცვალოს შემდეგნაირად:

199 მუხ. შენიშვნა. არ შეიძლება სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს გადასაწყვეტად დავა საკუთრების უფლების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ქალაქებში მდებარე შენობების გამო, გარდა დავისა ისეთი შენობის გაყიდვის შესახებ, რაც მხარეთა საერთო საკუთრებას შეადგენს, დავა, რომელიც ექვემდებარება სპეციალურ სასამართლოს ან დაწესებულებას, აგრეთვე დავა, აღძრული ისეთი საქმის გამო, რაც დაკავშირებულია მცირეწლოვანისა და, საერთოდ, მეურვეობაში მყოფი პირის ინტერესებთან ან და სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს ინტერესებთან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. სექტემბრის 7.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 218 №-ში 1927 წ. სექტემბრის 27.



125. დადგენილება № 77 ც. ა. ქ. და ს. ქ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 78, 87, 181 და 341 მუხლების შე-
ვსების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის 2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77
№-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს სა-
ბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ.
რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამ. სამ. კოდ. 73 მუხლს დაემატოს შენიშვნა მე-3 შემდეგი ში-
ნაარსისა:

78 მუხ. შენიშვნა მ. უკეთუ აღდგენილ ან ახალ შენობაში საცხოვრე-
ბელი სივრცე შეადგენს არა ნაკლებ, ვიდრე შენობის მთელი სივრცის
75 პროცენტს, კომუნალურ განყოფილებას (ადგილობრივი მეურნეობისა)
შეუძლიან გაანთავისუფლოს აღმნავი მიწის ნაკვეთისათვის გადასახდელ
საიჯარო ქირისაგან მთელი იმ ვადის ან მისი ნაწილის განმავლობაში, რა
ვადითაც დადებულია აღნაგობის უფლების ხელშეკრულება.

2. 87 მუხლს დაემატოს შენიშვნა მე-2 შემდეგი შინაარსისა:

87 მუხ. შენიშვნა ა. 22 მუხლში აღნიშნული სახელმწიფო ქონება
შეიძლება იყოს გირავნობის საგნად მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ
შემთხვევაში (22 მუხ. დანართი).

3. 181 მუხლს დაემატოს შენიშვნა 2 შემდეგი შინაარსისა:

181 მუხ. შენიშვნა ბ. 22 მუხლში აღნიშნული სახელმწიფო ქონება
შეიძლება იყოს ნასყიდობის საგნად მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ
შემთხვევაში (22 მუხ. დანართი).

4. სამ. სამ. კოდექსს დაემატოს 341¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 341¹. სააქციო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) წესდების ყოვე-
ლივე ცვლილებას და დამატებას დაამტკიცებს ის ორგანო, რომელსაც უნდა
დაემტკიცებინა აღნიშნული საზოგადოების (ამხანაგობის) წესდება, თავიდანვე
რომ ამ წესდებაში შეტანილი ყოვილიყო განზრახული ცვლილება.

ხოლო ყოველი ცვლილება და დამატება სააქციო საზოგადოების (ამხანა-
გობის) წესდებისა, რაც დამტკიცებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სა-
ხალხო კომისართა საბჭოს, ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს,
ს. ს. რ. კ. სახალხო კოპის. საბჭოს ან შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ,
დამტკიცებულ უნდა იქნეს იმავე ორგანოთაგან კუთვნილებისამებრ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **მ. მათიკაშვილი.**

1927 წ. სექტემბრის 5.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 218 №-ში 1927 წ. სექტემბრის 27.



126. დადგენილება № 78 ც. ა. კ. დ ბ ს. კ. ს.

„გირავენობის მოწმობის გაცემისა და სარგებლობის წესის“ პირველი მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გირავენობის მოწმობის გაცემისა და სარგებლობის წესის (კან. კრ. 1926 წ. № 1 მუხ. 14) 1 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

„სამოქალაქო სამართლის კოდექსის 90 მუხლის 1 შენიშვნაში გათვალისწინებული გირავენობის მოწმობა უზრუნველყოფს სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, საკრედიტო დაწესებულებისა და აგრეთვე შრომის არტელისა და კოოპერატივის ხელშეკრულების აღსრულებას. ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ მიღებულ ასეთ მოწმობას ისეთივე ძალა აქვს, როგორც, სამოქ. სამ. კოდ. 90 მუხლის თანახმად, სანოტარო წესით ქმნილ გირავენობის აქტს“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. სექტემბრის 5.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 218 №-ში 1927 წ. სექტემბრის 27.

127. დადგენილება № 79 ც. ა. კ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის სექტემბრის 26-ს დეკრეტის მე-3 მუხლისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლ. აგვისტოს 6-ს დეკრეტის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 26-ს დეკრეტის („საცხოვრებელი სადგომების შესახებ“) მე-3 მუხლისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლ. აგვისტოს 6-ს დეკ-

რეტის („საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ნაციონალიზაციისა, მუნიციპალიზაციისა და რეკვიზიციის გზით ჩამორთმეული ქონების სარგებლობის წესის თაობაზე—1923 წლის ივნისის 11-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის შეცვლის შესახებ“) 1-ლი მუხლის განსამარტებლად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ის შენობა, რომელიც 1923 წლის ივნისის 15-თვის თუნდაც ნაწილობრივ იყო მუნიციპალიზაციაქმნილი ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისა და საწარმოს საჭიროებისათვის, უნდა ჩაითვალოს მთლად მუნიციპალიზაციაქმნილ შენობად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. სექტემბრის 5.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 218 №-ში 1927 წ. სექტემბრის 27.

128. დადგენილება № 80 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სოც. ხაბჭ. რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების დებულებებისათვის „დამცველთა კოლეგიის“ თაობაზე ახალი მე-VI თავის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. სასამართლოს წყობილების დებულების 39—47 მუხ. ნაცვლად სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამავე დებულების ქვემოაღნიშნული 39—47⁶ მუხ.

მუხ. 39. საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან, მისი ხელმძღვანელობით და ზედამხედველობით, მოქმედობს დამცველთა კოლეგია სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთათვის. დამცველთა კოლეგიის მოქმედების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რასაც დამატაციებს იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

მუხ. 40. დამცველთა კოლეგიის წევრად შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველი მოქალაქე, უკეთეს მას, საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად, აქვს საარჩევნო უფლება და თანაც ორ წლისაზე არა ნაკლები სტაჟი იუსტიციის



ორგანოებში მუშაობისა გამოძიებულზე არა დაბალ თანამდებობაზე, ან სამ წლისაზე არა ნაკლები სტაჟი დამცველთა კოლეგიაში მუშაობისა საბჭოთა ხელისუფლების დროს, ან და უკეთუ იგი ჩააბარებს სათანადო გამოცდას უზენაეს სასამართლოსთან არსებულ კომისიას.

მუხ. 41. დამცველთა კოლეგიის წევრად არ შეიძლება იყოს ის პირი:

ა) ვინც სახელის შემბლაღავი საქციელისა და ყოფაქცევისათვის გამორიცხულია საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან; ასეთი პირის მიღება კოლეგიაში წევრად შეიძლება მხოლოდ სამი წლის შემდეგ დღიდან გამორიცხვისა, უკეთუ ამ ვადის ვასვლამდე არ მოხდა მისი რეაბილიტაცია;

ბ) ვისაც მსჯავრი დაედო ანგარებითი და სახელის შემბლაღავი დანაშაულისათვის.

მუხ. 42. კოლეგიაში წევრებს მიიღებს კოლეგიის პრეზიდიუმი. დადგენილება მთხოვნელის დამცველთა კოლეგიაში მიღებაზე უარის თქმისა მას შეუძლიან განასაჩივროს უზენაეს სასამართლოში; ხოლო, უკეთუ მთხოვნელს უარი ეთქვა უმოტივოდ, არაფორმალური საფუძვლის გამო, ამ შემთხვევაში დადგენილების განსაჩივრება არ შეიძლება.

მუხ. 43. დამცველთა კოლეგიაში ამა თუ იმ პირის მიღება უნდა ეცნობოს იუსტიციის სახალხო კომისარს, რომელსაც უფლება აქვს, სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით, ერთი თვის განმავლობაში კოლეგიის პრეზიდიუმისაგან ცნობის მიღების დღიდან, ჩამოაცილოს კოლეგიაში მიღებული წევრი.

სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვს, როდესაც კი საჭიროდ დაინახავს, უკან გაიწვიოს კოლეგიის წევრი.

მუხ. 44. დამცველთა კოლეგიის წევრს უფლება არა აქვს რაიმე თანამდებობა დაიკიროს სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში. გამონაკლისი შესაძლებელია: 1) იმ პირისათვის, ვისაც საარჩევნო სახელმწიფო თანამდებობა უჭირავს, 2) იურიდიული მეცნიერების პროფესორისა და მასწავლებლისათვის, 3) სახელმწიფო დაწესებულებისა და სახელმწიფო საწარმოს იურისკონსულტისათვის.

მუხ. 45. დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრების გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) აარჩიოს კოლეგიის პრეზიდიუმი;

ბ) განიხილოს და დაამტკიცოს დამცველთა კოლეგიისა, მისი სამაზრო ბიუროებისა და საკონსულტაციო ბიუროების მოქმედების წლიური ანგარიში და განიხილოს, აგრეთვე, მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა;

გ) განიხილოს ყველა ის ზოგადო ხასიათის საკითხი, რაც მთლად დამცველთა კოლეგიის მოქმედებას შეეხება;

დ) დააწესოს სავალდებულო გადასახადი კოლეგიის ფონდის სასარგებლოდ;

ე) შეიმუშაოს საერთო გეგმა მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების ორგანიზაციისა;

ვ) განიხილოს და დამტკიცოს საკონსულტაციო ბიუროებისა და საერთო-ერთო დახმარების საღაროს დებულება და განიხილოს, აგრეთვე, ყველა სხვა საკითხი, რასაც შეიტანს პრეზიდიუმი საზოგადო კრებაზე თავისი თაოსნობით ან დამცველთა კოლეგიის წევრთა ერთ მეხუთედზე არა ნაკლები ნაწილის წინადადებით.

მუხ. 46. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) დამცველთა კოლეგიის ახალი წევრების მიღება და კოლეგიიდან გასვლის შესახებ შეტანილ განცხადებათა განხილვა;

ბ) შემუშავება იუსტიციის სახალხო კომისარიატისათვის დასამტკიცებლად წარსადგენი წესებისა და ინსტრუქციებისა დამცველთა კოლეგიისა, მისი ბიუროებისა და სხვა ორგანიზაციების ნორმალური მოქმედების შოსაწესრიგებლად;

გ) თვალყურის დევნება, რათა დამცველთა კოლეგიის წევრებმა სისწორით შეასრულონ და დაიცვან დადგენილი წესები და თავისი პროფესიონალური მოვალეობა;

დ) დამცველთა დანიშვნა ღარიბი მოქალაქეების სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების უსასყიდლოდ წარმოებისათვის და, აგრეთვე, იმ პირთა საქმეების წარმოებისათვის სასყიდლით, ვინც საამისოდ პრეზიდიუმს მიმართავს;

ე) კონსულტაციების მოწყობა მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად და ამ კონსულტაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა;

ვ) საერთო კრებაზე განსახილველად წარსადგენი წლიური ხარჯთაღრიცხვისა, დამცველთა კოლეგიისა, მისი პრეზიდიუმისა და ბიუროების მოქმედების ანგარიშის შედგენა და მოხსენებების შემუშავება;

ზ) თვალყურის დევნება დამცველთა კოლეგიის ბიუროებისა და პრეზიდიუმის რწმუნებულთა მოქმედებისათვის;

თ) საერთო კრების მიერ კოლეგიის ფონდისათვის დაწესებული გადასახადის გადახდევინება;

ი) კოლეგიის ქონებისა და ფულის გამგებლობა და განკარგულება;

კ) ღონისძიების მიღება კოლეგიის გარდაცვალებული, მძიმე ავადმყოფი ან კოლეგიიდან გამორიცხული წევრის საქმეების დასაცავად ამ წევრის რწმუნებულთა ინტერესებისათვის;

დ) კოლეგიის წევრთათვის სხვადასხვა ცნობისა და მოწმობის მიცემა;

მ) კოლეგიის წევრთა დისციპლინარული გასამართლება.

მუხ. 47. კოლეგიის პრეზიდიუმი განიხილავს ყველა შემოსულ საჩივარს კოლეგიის წევრებზე და უფლება აქვს დაადოს კოლეგიის წევრს დადგენილ წესებისა და პროფესიონალური მოვალეობის დარღვევისათვის, აგრეთვე იმისთანა საქციელისათვის, რაც არ შეესაბამება ორგანიზაციის ღირსებას, შემდეგი სადისციპლინო გადასახდელი:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;



გ) ფულადი ჯარიმა არა უმეტეს ორასი მანეთისა;
 დ) პრაქტიკის აკრძალვა ვადით არა უმეტეს ერთი წლისა და
 ე) კოლეგიიდან გამორიცხვა.
 მუხ. 47⁴. სადისციპლინო სამართლის წარმოების წესს განსაზღვრავს პრეზიდენტი, ისე-კი, რომ ბრალდებულს სადისციპლინო გადასახდელი არ დაენიშნოს, ვიდრე მისგან წინასწარ მოთხოვნილი არ იქნება ახსნა-განმარტება.

დამცველთა კოლეგიის პრეზიდენტის დადგენილება სადისციპლინო საქმის შესახებ შეიძლება ორი კვირის ვადაზე განსაზღვრებულ იქნეს უზენაეს სასამართლოში კოლეგიის იმ წევრის მიერ, ვისაც გადასახდელი დაედო, ან შეიძლება ამ დადგენილების გამო, ამავე ვადაზე, პროტესტი განაცხადოს უზენაესი სასამართლოს პროკურორმა.

მუხ. 47⁵. კოლეგიიდან სადისციპლინო სასამართლოს დადგენილებით გამორიცხულს შეუძლიან ითხოვოს ხელახლად კოლეგიაში მიღება არა უადრეს სამის წლისა მისი გამორიცხვის შესახებ გამოტანილი დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან.

მუხ. 47⁶. კოლეგიის წევრის მიერ ჩადენილი სადისციპლინო დანაშაული გაქარწყლდება ერთი წლის ხანდაზმულობით.

მუხ. 47⁷. პრეზიდენტს შეუძლიან ტელიისის გარეშე მდებარე სასამართლო დაწესებულებებთან დანიშნოს თავისი რწმუნებულნი კოლეგიის იმ წევრთაგან, რომელნიც ადგილობრივ სცხოვრობენ. რწმუნებულთა უფლება-მოვალეობა განისაზღვრება პრეზიდენტის მიერ გამოცემული განსაკუთრებული ინსტრუქციებით.

იმ ადგილას, სადაც კოლეგიის წევრი ათზე მეტა, დაარსდება დამცველთა კოლეგიის ბიურო, რომლის წევრთა რიცხვი და უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ გამოცემული განსაკუთრებული ინსტრუქციებით.

მუხ. 47⁸. დამცველს შრომის სასყიდელი მიეცემა შემდეგი საფუძვლით:

ა) ის, ვინც სასამართლოს განსაკუთრებული დადგენილებით ხელმოკლე პირად იქნება ცნობილი, სრულიად განთავისუფლდება დამცველისათვის სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმის საწარმოებლო გასამარჯელოს მიცემისაგან;

ბ) იმ მუშა-მოსამსახურეს, აგრეთვე ისეთ გლეხსა და შინამრეწველს, ვინც დაქირავებულ შრომას არ იყენებს, შეუძლიან დამცველს გასამარჯელო იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ დაწესებული ნიხრით მისცეს;

გ) ის, ვისაც დამცველი დაენიშნა სისხ. სამ. საპრ. კოდ. მოთხოვნისამებრ და ვინც „ა“ და „ბ“ პუნქტში გათვალისწინებულ კატეგორიით არ ეკუთვნის, დამცველის გასამარჯელოს შეიტანს დამცველთა კოლეგიის ფონდში იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ დაწესებული ნიხრით;

დ) ყველა დანარჩენ შემთხვევაში დამცველის გასამარჯელო განისაზღვრება ამ უკანასკნელის შეთანხმებით დაინტერესებულ მხარესთან.

II.

1. იუსტიციის სახ. კომისარიატი, ამა დადგენილების სამოქმედოდ შემო-
 ლებისთანავე, აღმოსავლეთ და დასავლეთ ოლქის სასამართლოებთან არსებულ
 დამცველთა კოლეგიას გამოაცხადებს დაშლილად.

2. იუსტიციის სახ. კომისარიატი, დამცველთა კოლეგიის ახალი შედგენი-
 ლობის შესაქმნელად, მოაწყობს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან,
 ამავე სასამართლოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებულ კომი-
 სიას პროკურატურისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, პროფესიონალურ
 კავშირთა საბჭოსი და ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგე-
 ნელთაგან.

3. იუსტიციის სახ. კომისარი შეიმუშავებს განსაკუთრებულ ინსტრუქციას
 კომისიის მიერ დამცველთა კოლეგიის ახალი შედგენილობის წევრთა მიღების
 წესის შესახებ.

4. იუსტიციის სახ. კომისარიატი, სასამართლოს წყობილების მე-VI თავის
 შეცვლილი მუხლების მიხედვით, შეიმუშავებს ინსტრუქციას დამცველთა კო-
 ლეგიის წევრების მოქმედების მოსაწესრიგებლად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
 აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
 კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
 აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

ტფილისი—სასახლე.
 1927 წ. სექტემბრის 5.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 212 №-ში 1927 წ. სექტემბრის 18.

129. დადგენილება № 81 ც. ბ. კ. და ს. კ. ს.

ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-
 სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა და-
 რღვევისათვის აღმინისტრაციული გადასახდელის დადების დებულების და-
 მტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-
 ტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული
 დებულება ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასა-
 ნიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვე-
 ვისათვის აღმინისტრაციული გადასახდელის დადების შესახებ.

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. ივლისის 2-ის თარიღისა და მე-100 №-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება კურორტების სამთო-სასანიტარო ოლქის ფარგლებში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის აღმინისტრაციული წესით დასჯის შესახებ (კან. კრ. 1924 წ. № 2, მუხ. 1)—გაუქმებულ იქნეს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. სექტემბრის 5.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის აღმინისტრაციული გადასახდელის დადების შესახებ.

1. იმ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის, რასაც, კურორტებზე სანიტარული მდგომარეობის დასაცავად, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი გამოსცემს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) შესახებ“ 1923 წლის თებერვლის 3-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე 9 მუხლის თანახმად —დამნაშავეს შეიძლება აღმინისტრაციული წესით დაედოს ერთ-ერთი შემდეგი გადასახდელი:

- ა) ფულადი ჯარიმა ას მანეთამდე;
- ბ) იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე;
- გ) დატუსაღება ერთ თვემდე.

2. ოქმს სავალდებულო დადგენილების დარღვევის შესახებ შეადგენს სასანიტარო ექიმი ან კურორტის დირექტორის მიერ საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირი; ოქმს ხელს მოაწერენ ოქმის შემდგენი, სასანიტარო კომისიის ყველა ის წევრი, ვინც დარღვევის აღმოჩენას დაესწრო, სავალდებულო დადგენილების დამრღვევი და მოწმეები, უკეთუ ეს უკანასკნელი იქნებოიან.

უკეთუ დამრღვევი იუარებს ოქმზე ხელის მოწერას, ეს გარემოება და უარის მოტივი აღინიშნება ოქმში.

3. ოქმი დაუყოვნებლივ წარედგინება სათანადო საკურორტო სამმართველოში კურორტის დირექტორს, რომელიც გადასწყვეტს საკითხს სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის გადასახდელის დადების შესახებ.

შენიშვნა 1. უკეთუ ოქმიდან სჩანს, რომ სავალდებულო დადგენილების დარღვევას თან სდევდა ისეთი ქმედობა, რაც სასამართლო წესით უნდა იქნეს დევნილი, საქმე გაეგზავნება შესაფერ პროკურორს ან პროკურორის თანაშემწეს სათანადო წარმართვისათვის.

შენიშვნა 2. უკეთუ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს სამხედრო მსახური, რომელიც მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში მსახურობს, ოქმი გაეგზავნება სათანადო ჯარის უფროსს; ეს უკანასკნელი, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სადისციპლინო წესდების მიხედვით მიიღებს სადისციპლინო ზეგავლენის საქირო ღონისძიებას, რასაც საკურორტო სამმართველოს აცნობებს.

შენიშვნა 3. უკეთუ სავალდებულო დადგენილების დარღვევის საქმეს, ვიდრე იგი ადმინისტრაციული წესით გადაწყდებოდეს, სასამართლო მიიღებს განსახილველად, დამნაშავეს ამავე ქმედობისათვის ადმინისტრაციული გადასახდელი აღარ დაედება.

4. დადგენილების გამოტანა ადმინისტრაციული წესით გადასახდელის დადების შესახებ შეიძლება მხოლოდ სამი თვის განმავლობაში დღიდან დადგენილების დარღვევისა; ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმე უნდა მოისპოს.

5. დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ წერილობითი უნდა იყოს. დადგენილებაში აღინიშნება: დადგენილების გამოტანის დრო, თანამდებობის პირი, რომელმაც დადგენილება გამოიტანა, სავალდებულო დადგენილების დამრღვევის ვინაობა, რა სავალდებულო დადგენილება იყო დარღვეული, დარღვევის დრო, მოქმედება, რაშიც გამოიხატა დარღვევა, და დადებული ადმინისტრაციული გადასახდელი.

დადგენილება ხელმოწერილ უნდა იქნეს კურორტის დირექტორის მიერ.

შენიშვნა. ის ქმედობა, რომელიც დამრღვევს ბრალად ედება, სავსებით უნდა შეეფერებოდეს იმ სავალდებულო დადგენილებაში გათვალისწინებულ ქმედობას, რაც აღნიშნულია დარღვევის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში.

6. გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილება უნდა გამოეცხადოს იმ პირს, რომელსაც გადასახდელი დაედო; მასვე უნდა გამოეცხადოს აგრეთვე განსაჩივრების წესი და ვადა.

7. იმ პირს, ვისაც გადასახდელი დაედო, შეუძლიან შვიდი დღის განმავლობაში დღიდან მისთვის გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების გამოცხადებისა, სთხოვოს კურორტის დირექტორს აღნიშნული დადგენილების გადასინჯვა ან განასაჩივროს ეს დადგენილება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში.

საჩივარი შეიტანება სათანადო საკურორტო სამმართველოს მეშვეობით,



ხოლო ეს უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში წარადგენს ამ საჩივარს მთლად საქმიითურთ კუთვნილებსამებრ.

საჩივრის შეტანა ან თხოვნა დადგენილების გადასინჯვის შესახებ შეაჩერებს გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილ დადგენილების აღსრულებას.

8. უკანონოდ დადებული გადასახდელი გაუქმებულ ან შეცვლილ უნდა იქნეს.

9. დადგენილებას ადმინისტრაციულ წესით გადასახდელის დადების შესახებ შეასრულებს მილიცია.

10. დადგენილება ადმინისტრაციული წესით გადასახდელის დადების შესახებ შესრულებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი წლისა მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან; უკეთეს დადგენილება აღნიშნულ ვადაზე არ იქნება ასრულებული, იგი ძალასა ჰკარგავს.

შენიშვნა 1. დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ კანონიერ ძალაში შესულად ჩაითვლება იმ ვადის გასვლისთანავე, რაც დაწესებულია განსაჩივრებისათვის, უკეთეს თხოვნა დადგენილებას გადასინჯვის შესახებ ან საჩივარი შეტანილი არ ყოფილა; ხოლო, უკეთეს თხოვნა ან საჩივარი შეტანილია—მისი უშედეგოდ დატოვებისთანავე.

შენიშვნა 2. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილება საბოლოოა და მისი განსაჩივრება არ შეიძლება.

11. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დადებული ფულადი ჯარიმა შედის საკურორტო სამმართველოს შემოსავლის სახით კურორტის სასანიტარო საგიგიენო საჭიროებათა ფონდში; ის პირნი, ვისაც გადასახდელი დადებული აქვს იძულებითი მუშაობის სახით, შეასრულებენ ამ მუშაობას კურორტის სასანიტარულად კეთილმოწყობისათვის.

130. დადგენილება № 82 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

შრომა-გასწორების კოდექსის დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭო-რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შრომა-გასწორების კოდექსი.

2. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა, იუსტიციის სახალხო კომისართან შეთანხმებით, წარმოადგინოს იმ კანონთა სია, რომელთაც დაჰკარგეს ძალა შრომა-გასწორების კოდექსის სამოქმედო შემოღების გამო.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. სექტემბრის 5.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 218 №-ში 1927 წ. სექტემბრის 27.

131. დადგენილება № 83 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ფიზიკური კულტურის სფეროში მუშაობის გაძლიერებას ღონისძიებათა თა-
მაზე 1925 წლის ივლისის 20-ის თარიღითა და 38 №-ით გამოცემული და-
დგენილების დამატების შესახებ.

1925 წლის ივლისის 20-ის თარიღითა და 38 №-ით ფიზიკური
კულტურის სფეროში მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა თა-
მაზე გამოცემული დადგენილების დასამატად სრულიად საქართველოს საბჭო-
თა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოციალის-
ტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დაევალოს ყველა სახელმწიფო ორგანოს - იმ მუშასა და მოსამსახურეს,
რომელსაც ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო წარავლენს ამიერკავკასიის
ჭრუუკავშირების მიერ 1927 წ. ქალ. ბაქოში გამართული ფიზიკური კულტურ-
ის დღესასწაულზე შეუნარჩუნოს მთლად წარვლინების დროს განმავლობაში
თანამდებობასთან ერთად მათი ხელფასი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-
ტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. სექტემბრის 30.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 243 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 26.



132. დადგენილება № 84 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

შენობების დემუნციპალიზაციის წესის შესახებ.

შენობების დემუნციპალიზაციის საკითხის მოსაწესრიგებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შენობის დემუნციპალიზაციის საკითხის გადაწყვეტა მიენდოს სათანადო ქალაქის ან მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.
2. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება შენობის დემუნციპალიზაციის შესახებ უნდა წარედგინოს სახალხო კომისართა საბჭოს დემუნციპალიზაციის მოტივების აღნიშვნით.
3. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება დემუნციპალიზაციის შესახებ ძალაში შედის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამ დადგენილების დამტკიცების მომენტიდან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. სექტემბრის 25.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 243 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 26.

133. დადგენილება № 85 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამხედრო სამხანაურის ინვალიდთა და მათი ოჯახებისა, გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელ არმიასი გაწვეულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარ დამკარგველ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენადის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და 1927 წ. ოქტომბრის 1-დან სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება—სამხედრო სამსახურის ინვალიდთა და მათი ოჯახ-

ბისა, გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახობისა, მუშათა და გლეხთა წითელ არმიასი გაწვეულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარდამკარგველ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. სექტემბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამხედრო სამსახურის ინვალიდთა და მათი ოჯახებისა, ომში გარდაცვლილ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელ არმიასი გაწვეულთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარდამკარგველ პირთა ან ამა პირობებში მარჩენლის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის შესახებ.

მუხ. 1. ამა დებულების წესით უზრუნველყოფის უფლება აქვს: ა) ომის ინვალიდებს, აგრეთვე იმ პირთ, ვინც სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს დაშავებისა ან ავადმყოფობის გამო დაჰკარგა შრომის უნარი; ბ) გარდაცვლილ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებს; გ) იმ გარდაცვლილ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებს, რომელნიც აღნიშნული არიან ამა მუხლის „ა“ პუნქტში და რომელნიც უკვე იმყოფებოდნენ სახელმწიფო მზრუნველობაზე ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ იგი; დ) სამხედრო ვადიანი სამსახურის სამერიცეო და უმცროსი სამეთაურო შედგენილობის იმ პირთა ოჯახებს, რომელნიც განუწყვეტლივ მსახურობენ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ძირითად (საკადრო) შედგენილობაში; ე) იმ პირთ, რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო, და აგრეთვე იმ ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრთ, რომელსაც მარჩენალი დატოვებულ კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო.

დებულების 1. ამა დებულების წესით უზრუნველყოფის უფლება შეენარჩუნებენ ამა მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნულ პირებს იმ შემთხვევაში, როდესაც მათ შრომის უნარი დაკარგეს სამხედრო სამსახურის გავლა-



სთან დაკავშირებით ერთი წლის განმავლობაში სამსახურიდან დათხოვნის დღიდან.

შენიშვნა 2. ამა მუხლის „დ“ პუნქტში მოხსენებულ პირთა ოჯახები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ შემდეგ შემთხვევაში: ა) უკეთუ მათ მარჩენალს, რომელიც გაწვეული იყო მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში, ჰქონდა უფლება ერთ-ერთი იმ შეღავათისა, რაც გათვალისწინებულია სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის მე-7 კარში (სსრკ კანონთა კრებული 1925 წ. 62-რი, მუხ. 463); ბ) უკეთუ მარჩენალის ჯარში გაწვევის შემდეგ, მისი ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა ისეთნაირად შეიცვალა, რომ მას უფლება ეძლევა ერთ-ერთი აღნიშნული შეღავათი მიიღოს; გ) უკეთუ გაწვეულის ოჯახი განსაკუთრებულ გაჭირვებას განიცდის, იგი შეიძლება, როგორც გამონაკლისი, მიღებულ იქნეს სახელმწიფო მზრუნველობაზე ამა მუხლში გათვალისწინებული პირობების გარეშეც.

მუხ. 2. იმ პირს, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სოციალური დახმარების წესით ან სპეციალური კანონმდებლობის მიხედვით, ამა დებულებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის უფლება არა აქვს.

მუხ. 3. ის პირი, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს ჩამორთმეული ვერ ისარგებლებს ამა დებულებაში გათვალისწინებული უზრუნველყოფის უფლებას.

შენიშვნა 3. ეს მუხლი არ გავრცელდება იმ პირზე, ვინც საარჩევნო უფლებას მოკლებულია სულით ავადმყოფ პირად ცნობის გამო.

მუხ. 4. ამა დებულების წესით უზრუნველყოფის უფლება შეუძლიანთ ისარგებლონ ოჯახის შემდეგ წევრებს: ა) შვილებს, ძმებსა და დებს, რომელთაც 16 წელი არ შესრულებიათ; ბ) შრომის უნარ-მოკლებულ სრულწლოვან შვილებს, ძმებსა და დებს, რომელთაც დაკარგეს შრომის უნარი 16 წლის ასაკამდე; გ) შრომის უნარ-მოკლებულ მშობლებს ან მათ მენაცვლე პირებს; დ) შრომის უნარ-მოკლებულ მეუღლეს; ე) „გ“ და „დ“ პუნქტში ჩამოთვლილ პირთაგან იმას, ვინც, თუმცა შრომის უნარს მოკლებული არ არის, მაგრამ ზრდის თავისთან შვილებს ასაკით 8 წლამდე.

მუხ. 5. ოჯახის წევრები მიიღებიან უზრუნველყოფაზე წინა (4) მუხლის წესისამებრ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ არ გააჩნიათ საკმაო სახსარი არსებობისათვის და ცხოვრობდნენ იმ პირის ხარჯზე, ვინც ა) სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მზრუნველობაზე იყო ან საამისო უფლება ჰქონდა; ბ) ვინც დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა ომში, ან სამხედრო სამსახურში მშვიდობიან დროს, ან აქტიურ ბრძოლაში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ; გ) ვინც გაწვეულია მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში.

შევიშვნა. შრომის უნარდაკარგული მშობლები, ძმები და დები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ არ ჰყავთ სხვა ნათესავი, რომელიც კანონით ვალდებულია და შეუძლიან კიდევ არჩინოს ისინი.

მუხ. 6. უზრუნველყოფაზე მიღების საკითხს გადასწყვეტს საუწყებათაშორისო კომისია. ამ კომისიის შედგენილობას, მისი დადგენილების განხორციელებ-

ბას და განსაზღვრების წესს განსაზღვრავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება სამხედრო უწყებებთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

მუხ. 7. დაწესდეს ინვალიდობის შემდეგი ჯგუფები: 1) ის ინვალიდები, რომელნიც არამც თუ მოკლებულნი არიან შრომის უნარს საარსებო სახსრის მოსაპოვებლად, არამედ ჩვეულებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც კი არ შეუძლიანთ სხვის დაუხმარებლად; 2) ის ინვალიდები, რომელთაც არავითარი შრომის უნარი არა აქვთ საარსებო სახსრის მოსაპოვებლად, ხოლო არ საჭიროებენ სხვის მოვლას; 3) ის ინვალიდები, რომელნიც არამც თუ იძულებული არიან თავი დაანებონ თავის ჩვეულებრივ პროფესიას, არამედ მოკლებული არიან საერთოდ რეგულიარული პროფესიონალური მუშაობის უნარს და შეუძლიანთ საარსებო სახსრის მოპოება მხოლოდ შემთხვევითი, დროებითი და თანაც მსუბუქი მუშაობით; 4) ის პირნი, რომელნიც იძულებულ არიან გადავიდნენ სხვა უფრო დაბალი კვალიფიკაციის პროფესიაზე; 5) ის პირნი, რომელნიც იძულებული არიან მიატოვონ თავისი ჩვეულებრივი პროფესია და გადავიდნენ იმავე კვალიფიკაციის სხვა პროფესიაზე, უკეთუ ასეთი გადასვლისათვის მათთვის საჭიროა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების განსაკუთრებული დახმარება; 6) ის პირნი, რომელთაც შეუძლიანთ განაგრძონ წინანდელი პროფესიონალური საქმიანობა, ხოლო ნაკლები ნაყოფიერებით.

მუხ. 8. საექიმო შემოწმების წესს და პირობებს იმის გამოსარკვევად თუ ამა თუ იმ პირს რამდენად დაუკარგავს შრომის უნარი, განსაზღვრავს საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სოც. უზრუნველყოფის განყოფილებასა და შრომის სახ. კომისარიატთან შეთანხმებით.

მუხ. 9. უზრუნველყოფის ძირითადი სახეა: ა) პენსია და დახმარება; ბ) სოციალური უზრუნველყოფის და სახალხო განათლების ორგანოთა გამგებლობაში მყოფ დაწესებულებებში მოთავსება; გ) საშრომოდ მოწყობა.

მუხ. 10. ინვალიდების პენსიების ნორმებს და სახელმწიფო პენსიონერთა რიცხვს ყოველ წლიურად განსაზღვრავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელსაც სათანადო პროექტს წარუდგენს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

მუხ. 11. ამა დებულების წესით დანიშნული პენსიებისა და დახმარების გასაცემად საჭირო თანხა გადაიდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით, კანონით დაწესებულ ფარგლებში. იმ ხარჯების 25%, რაც საჭიროა იმის ინვალიდებისა, მათი ოჯახებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების დასაქმყოფილებლად, გაღებულ იქნება სახელმწიფო ბიუჯეტით, ხოლო დანარჩენი 75% ადგილობრივი ბიუჯეტით.

მუხ. 12. ინვალიდობის ხარისხს, რაც პენსიის მიღების უფლებას იძლევა, აგრეთვე უზრუნველყოფის პირობებს და სახეს განსაზღვრავს სსრ. საქართველოს

საკოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სოც. უზრუნველყოფის განყოფილება.

მუხ. 13. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას დაეკისრება შეიმუშაოს ინვალიდებისა და მათი ოჯახების წევრთა ქონებრივი მდგომარეობის გამორკვევის პირობები და წესი; ამასთანავე პენსიის დანიშვნის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ინვალიდის შემოსავალი, რის მიხედვითაც შეიძლება შეჩერებულ იქნეს პენსიის მიცემა ან იგი სრულიადაც არ მიეცეს.

მუხ. 14. იმ პირს, რომელსაც აქვს ამა დებულების წესით უზრუნველყოფის უფლება, და ოჯახის ყველა იმ წევრს, ვისაც იგი ინახავს, ეძლევათ უპირატესობა, დანარჩენ მოქალაქეებთან შედარებით, სოციალური უზრუნველყოფისა, ჯანმრთელობისა და სახალხო განათლების ორგანოთა გამგებლობაში მყოფ დაწესებულებებში უფასოდ მოთავსებისათვის.

იმ პირთა შვილებს, რომელნიც ომში დაიღუპნენ, უპირატესობა ეძლევათ დანარჩენ მოქალაქეთა შვილებთან შედარებით, სახალხო განათლების და სახალხო ჯანმრთელობის ორგანოთა გამგებლობაში მყოფ დაწესებულებებში მოთავსებისათვის.

მუხ. 15. ინვალიდების საშრომოდ მოწყობა და მათთვის დახმარების აღმოჩენა გამოიხატება შემდეგში: ა) სწავლება და ხელახლა სწავლება სოციალურად უზრუნველყოფის განყოფილების პროფესიონალურ-ტექნიკურ სკოლებში ინვალიდებისათვის; ბ) სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ ინვალიდთა საშრომოდ შენაერთების მოწყობა განსაკუთრებული დებულების საფუძველზე; გ) ინვალიდთა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც უწყვენ ინვალიდებს დახმარებას თავიანთი განსაკუთრებული დებულების საფუძველზე; დ) ინვალიდებისათვის პატენტის უფასოდ აღების უფლების მინიჭება პირადი სარეწავისა ან ვაჭრობის საწარმოებლად არსებულ კანონდებულებათა თანახმად.

მუხ. 16. სოფლად მცხოვრებ ომის ინვალიდებს და სამხედრო მსახურთა ოჯახებს უფლება აქვთ, სახელმწიფო უზრუნველყოფის გარდა, მიიღონ, თავისი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, საშრომოდ სამეურნეო და სხვა სახის დახმარება გლეხთა საურთიერთა დახმარების საზოგადოებათაგან, რომლებიც მოქმედებენ განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

მუხ. 17. ომის ინვალიდებისა და მარჩინელ-დამკარგველი ოჯახის წევრებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული შეღავათი და უპირატესობა გავრცელდება ყველა იმ პირზე, ვინც სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია ამა დებულების წესით. ამა დებულების წესით უზრუნველყოფილ პირთათვის საგადასახადო და სხვ. შეღავათები განისაზღვრება სპეციალური კანონით.

მუხ. 18. იმ პირს, რომელსაც სახელმწიფო უზრუნველყოფის უფლება აქვს, ეს უზრუნველყოფა მიეცემა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოში განცხადების შეტანის დღიდან, და ეძლევა სიკვდილამდე ან იმ დრომდე, ვიდრე მის ჯანმრთელობაში, შრომის უნარიანობის მხრივ, სოციალურ, ქონებრივ და ოჯახურ მდგომარეობაში არ მოხდება ისეთი რამ ცვლილება, რაც კი მას მოუსპობს უზრუნველყოფის უფლებას.

მუხ. 19. ის ინვალიდები და მათი ოჯახის წევრები, რომელნიც პენსიას ან სხვა სახის დახმარებას სოც. უზრუნველყოფის ორგანოებისაგან იღებენ, შეიძლება, ამ უკანასკნელთა მოთხოვნით, ხელახლად იქნენ შემოწმებულნი იმ მიზნით, რომ გამოაკვეთონ იქნეს მათ ჯანმრთელობაში მომხდარი ცვლილება შრომაუნარიანობის მხრივ; შეიძლება აგრეთვე ხელახლად იქნეს გამოკვლეული მათი ქონებრივი, სოციალური და ოჯახური მდგომარეობა. ასეთივე შემოწმება-გამოკვლევა შეიძლება თვით იმ პირთა თხოვნითაც, მაგრამ წელიწადში მხოლოდ ერთხელ.

მუხ. 20. ინსტრუქციას ამა დებულების განსახორციელებლად გამოსცემს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტთან არსებული სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება, დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დებულების გამოქვეყნებისა.

134. დადგენილება № 86 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მიწის კოდექსის 96 მუხლისათვის მე-3 შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 19-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწის კოდექსის 96 მუხლს დაემატოს მე-3 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. ამა 96 მუხლის წესით, ქალაქის მცხოვრებს, რომელსაც ქალაქის ფარგლებში აქვს სარგებლობისათვის წინანდელი სახაზინო მიწა, რაც საქართველოს სსრ გასაბჭოებამდე მის საიჯარო შრომითი სარგებლობაში იყო, როგორც საობროკო (оброкная) მიწა, მიწის ნორმა ამ მიწიდან დაეტოვება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. სექტემბრის 30.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 241 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 23.



სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

135. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულებისათვის 17¹ და 17² მუხლის დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულებას, რომელი დებულებაც დამტკიცებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამა 1927 წლის მარტის 3-ს (საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. კან. კრებ. 1927 წ. № 3, მუხ. 58),—დაემატოს 17¹ და 17² მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 17¹. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებობს გეოდეზიური კომისია, რომლის თავმჯდომარესაც დანიშნავს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი. კომისია შესდგება სამრეწველო-სააღმშენებლო და სასოფლო-სამეურნეო სექციების წარმომადგენლებისაგან.

შენიშვნა. გეოდეზიურ კომისიას თავისი აპარატი არა ჰყავს და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის აპარატს გამოიყენებს.

მუხ. 17². გეოდეზიური კომისიის მიზანს შეადგენს, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამეურნეო აღმშენებლობის მოთხოვნილებების განვითარებასთან დაკავშირებით, გამოარკვიოს ასტრონომიულ-გეოდეზიურ, ტოპოგრაფიულ და კარტოგრაფიულ სამუშაოთა წარმოების ფარგლები და თანამიმდევრობა. ამის გამო გეოდეზიურ კომისიას დაეკისრება:

ა) შეათანხმოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა უწყებისა და დაწესებულების,—გარდა სამხედრო დაწესებულებებისა,—წარმოებითი გეგმები ზემოჩამოთვლილ სამუშაოთა დარგში;

ბ) შეადგინოს ასტრონომიულ-გეოდეზიურ, კარტოგრაფიულ და ტოპოგრაფიული სამუშაოთა რესპუბლიკანური გეგმები;

გ) განსაზღვროს, თუ რა თანდათანობით უნდა იქნეს წარმოებული ადგილების გადაღება და რუკების შედგენა;

დ) შეადგინოს შეთანხმებული ჯუშული ზემოაღნიშნული სამუშაოების მწარმოებელ უწყებათა და დაწესებულებათაგან მიღებული მასალების მიხედვით, რათა იგი, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მეშვეობით, წარედგინოს სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ გეოდეზიურ კომიტეტს დადგენილი წესისამებრ;

ე) მისცეს ხოლმე დასკვნა სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს სათანადო საუწყებო გეგმებისა და ანგარიშების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის დრ. აღმასრულებელი ბ. ფაღავა.

1927 წ. სექტემბრის 2.
ტფილისი — სასახლე.

136. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ქ. ს.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

რათა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის გეგმიანი მუშაობის დამყარებისა და განმტკიცების პირობებში წარმოებით იქნეს მიღწეული სამეურნეო მიზნები და რათა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებაში გაძლიერებულ იქნეს გეგმიანი დისციპლინა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დირექტივები სამუშაოთა პროგრამებისა და მათი შესრულების საკალენდრო ვადების შესახებ სავალდებულოდ იქნეს ცნობილი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უწყებათა საგეგმო ორგანოებისათვის, რომელთაც უშუალო ხელმძღვანელობას უწევენ სათანადო სახალხო კომისარიატები, და აგრეთვე ტფილისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო ორგანოსათვის.

დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უწყებათა საგეგმო ორგანოებს სათანადო მასალა უშუალოდ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარუდგინონ ხოლმე.

2. დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა გაერთიანებულ და არაგაერთიანებულ უწყებასა და დაწესებულებას ყველა თავისი გეგმა, ხარჯთაღრიცხვა და პროექტი, რაც სახალხო მეურნეობის განვითარებასა და რეკონსტრუქციას შეეხება, ვიდრე ისინი განსახილველად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში ან ეკონომიურ საბჭოში შეიტანებოდეს, წარუდგინონ ხოლმე საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წინასწარი დასკვნისათვის.

ყველა აღნიშნული გეგმა, ხარჯთაღრიცხვა და პროექტი უნდა გაეგზავნოს ამიერ-კავკასიის ფედერატიულ ან საერთო-საკავშირო ორგანოებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ დაადასტურებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ან ეკონომიური საბჭო.

3. საჭიროდ იქნეს ცნობილი საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება; ამ მიზნით უნდა დამყარდეს უფრო მჭიდრო კავშირი სახალხო მეურნეობის სათანადო დარგების სამეცნიერო ორგანიზაციებთან, მეცნიერულ ძალებთან ღ სპეციალისტებთან, რისთვისაც ამ უკანასკნელთა მონაწილეობა საქართველოს სახალხო მეურნეობის დაგეგმისათვის წარმოებულ მუშაობაში გაფართოვებულ უნდა იქნეს.

4. დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას სისტემატიურად შეამოწმოს ხოლმე დამტკიცებულ გეგმის შესრულება სათანადო ორგანიზების მიერ და შემოწმების შედეგი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს მოახსენოს.

5. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა, ხოლო შემდეგ საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ და სახალხო კომისართა საბჭომ სისტემატიურად გახიზილონ ხოლმე რესპუბლიკის ყველა უწყებისა და აგრეთვე აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო ორგანოების ანგარიშები გეგმების შესრულებისა და სახალხო მეურნეობისა და კულტურული აღმშენებლობის მდგომარეობის შესახებ.

6. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია, იღებს რა მხედველობაში საგეგმო მუშაობის შეთოდებისა და სქემის ერთიანობას და ემყარება რა, ერთის მხრით, სახელმწიფო ბიუჯეტის საკონტროლო ციფრებისა და, მეორეს მხრით, სახალხო მეურნეობისა და კულტურულ აღმშენებლობის წარმოებით და საფინანსო გეგმების შეთანხმებას, დაამყარებს აღნიშნულ შეთოდებასა და სქემას — ს. ს. რ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის საერთო დირექტივების თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებთან, აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

7. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია, ემყარება რა ს. ს. რ. კ-ისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიების წინასწარ დირექტივებს ბიუჯეტისა და საკონტროლო ციფრების შედგენის შესახებ, მისცემს, — მთავრობის დადგენილებით დაწესებულ ვადებზე, — საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის უწყებებს, აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტ. სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო ორგანოებს — წინასწარ საორიენტურო ცნობებს მომავალ წელს მრეწველობისათვის ფინანსიურად ხელის შეწყობისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალების დაბანდების შესაძლებელი ფარგლების შესახებ და აგრეთვე წინასწარ ეკონომიურ დირექტივებსა და ზოგად დირექტივებს ბიუჯეტის შესადგენად.

8. თანახმად მიღებულ დირექტივებისა და საორიენტურო ცნობებისა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უწყებები და აფხაზეთის სოც. საბჭ.



რესპუბლიკისა, აჭარისტანის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომ. ოლქის საგეგმო ორგანოები წარუდგენენ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დაწესებული სქემით და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ვადებზე თავიანთ განზრახულებათ სახალხო მეურნეობისა და კულტურული აღმშენებლობის ცალკე დარგებისათვის საკონტროლო ციფრების შედგენისათვის.

9. ყველა მასალა, რაც კი საჭირო იქნება საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტ. სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის საგეგმო ორგანოებისათვის წინა მუხლში (8) აღნიშნულ საკონტროლო განზრახულებათა შესამუშავებლად უნდა მიაწოდონ მათ სათანადო ორგანოებმა, მათ შორის რესპუბლიკანურმა, ა/კავკასიის ფედერატიულმა და საერთო-საკავშირო ორგანოებმა, რომელთაც ამა თუ იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავიანთი დაწესებულებები აქვთ, — საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებზე.

10. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში საკონტროლო განზრახულებათა წარდგენასთან ერთად აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტ. სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრ.-ოსეთის საგეგმო ორგანოებმა ამ განზრახულებათა სათანადო ნაწილი უნდა აცნობონ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებს, რათა ამ უკანასკნელებმა თავისი გეგმების შედგენის დროს გაითვალისწინონ აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის საჭიროებანი.

შენიშვნა. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტ. სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის წარმომადგენელი დაესწრებიან გეგმების განხილვას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატებში.

11. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე სათანადო უწყებები და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრ.-ოსეთის ავტონომიური ოლქის საგეგმო ორგანოები შეადგენენ წარმოებითი საფინანსო გეგმებს სახალხო მეურნეობისა და კულტურული აღმშენებლობის ცალკე დარგებისათვის.

12. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურული აღმშენებლობის ცალკე დარგების საოპერაციო გეგმებს მთლიანად შეადგენენ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატები, რომელთაც უსათუოდ უნდა გამოჰყონ ის ღონისძიებანი, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტ. სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რისთვისაც გამოიყენებენ აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტ. სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის



საგეგმო ორგანოებისაგან მიღებული სახალხო მეურნეობისა და კულტურული აღმშენებლობის გეგმებს.

13. სახალხო მეურნეობის კონიუნქტურისათვის სისტემატიურად თვალყურის სადევნებლად და პერიოდულ მიმოხილვათა შესადგენად საერთო-საკავშირო და ამიერ-კავკასიის ფედერატიული უწყებანი და დაწესებულებანი, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან, ვალდებულ არიან წარუდგინონ საქართველოს საგეგმო კომისიას ამ უკანასკნელის მიერ დაწესებული ფორმით და ვადაზე საჭირო მასალა და ცნობები.

14. დაველოს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და აჭარისტანის ავტონ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—სახალხო მეურნეობის გეგმების შედგენისა და განხილვის წესი შეუთანხმონ ამაღადგენილებას.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმსრულებელი ზ. ფაღავა.

1927 წ. სექტემბრის 2.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 218 №-ში 1927 წ. სექტემბრის 27.

137. დადგენილება ს. კ. ს.

ხხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს მიერ უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთათვის დანიშნული სტიპენდიების მათთვისვე დატოვების შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ხხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსაგან უმაღლესი სასწავლებელთა მოსწავლეთათვის დანიშნული სტიპენდიების შესახებ“ 1927 წ. თებერვლის 17-ს თარიღით გამოტანილი დადგენილების თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

დაეტოვოს უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ, სათანადო სასწავლებელში სწავლა-განათლების დამთავრებამდე, ხხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს მიერ მათთვის დანიშნული სტიპენდიები.

აღნიშნული სტიპენდიატების მიერ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა-განათლების დამთავრების შემდეგ სტიპენდიები გაუქმებულ უნდა იქნეს.



შენიშვნა. ამა დადგენილების მოქმედება არ გავრცელდება გამოჩენილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა სახელობის სტიპენდიებზე, რაც დაარსებულია განსაკუთრებული დადგენილებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თანამდ. დროებ. აღმასრ. **ბ. ფაღავა.**

1927 წ. სექტემბრის 10.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტი“-ს 218 №-ში 1927 წ. სექტემბრის 27.

138. დადგენილება ს. კ. ს.

ტექნიკუმების დებულების დამტკიცების შესახებ.

სასართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო
ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ტექნიკუმების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართ. თან. დრ. აღმ. **ბ. ფაღავა.**

1927 წ. სექტემბრის 10.

ტფილისი—სასახლე.

ტექნიკუმების დებულება.

ზოგადი ნაწილი.

1. ტექნიკუმი არის საშუალო პროფესიონალური სასწავლებელი. ტექნიკუმის მიზანია:

ა) მოამზადოს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტები შრომისა და წარმოების ყველა დარგისათვის;

ბ) გაავრცელოს მოსახლეობათა შორის სპეციალური და პრაქტიკული ცოდნა.

შენიშვნა 1. ტექნიკუმს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სპეციალობის განყოფილება.

შენიშვნა 2. მცხოვრებთა შორის სპეციალური და პრაქტიკული ცოდნის გასავრცელებლად ტექნიკუმის პედაგოგიური საბჭო, ადგილო-



ბრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით შეადგენს მუშაობის სათანადო გეგმას და პროგრამას, რომელთაც წარუდგენს დასამტკიცებლად პროფესიონალური განათლების მთავარმმართველობას.

2. ამა თუ იმ ტენიკუმის გახსნა ან დახურვა მოხდება განათლების სახალხო კომისარიატის მიერ სათანადო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

3. ტენიკუმები განათლების სახალხო კომისარიატის უშუალო გამგებლობაში არიან (პროფგანათლების მთავარმმართველობის სახით); მათ განაგებს კომისარიატი სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებათა მეშვეობით, რომელნიც თავისი მოქმედებისათვის იხელმძღვანელებენ განათლების სახ. კომისარიატის მიერ გამოცემულ განკარგულებებს და ცირკულარებს.

4. ტენიკუმებში სწავლების ვადას განსაზღვრავს განათლების სახალხო კომისარიატი. სამოსწავლო მუშაობა ტენიკუმში სწარმოებს განათლების სახ. კომისარიატის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით.

შენიშვნა 1. პედაგოგიურ საბჭოს უფლება აქვს, განათლების სახ. კომისარიატის პროფგანათლების მთავარმმართველობის თანხმობით, შეიტანოს ტენიკუმის პროგრამაში ესა თუ ის ცვლილება.

შენიშვნა 2. ტენიკუმთან განათლების სახ. კომისარიატის ნებართვით და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით შეიძლება მოეწყოს მოკლევადიანი კურსები და ლექციები, ტენიკუმის სპეციალობის მიხედვით.

5. სწავლის ფულის რაოდენობა ტენიკუმებისათვის განისაზღვრება მთავრობის მიერ ამ საგანზე გამოცემულ კანონმდებლობათა თანახმად.

6. ტენიკუმის სახსარს შეადგენს:

1) ის თანხა, რაც გადადებული იქნება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტით განათლების სახ. კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით;

ბ) ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ;

გ) დაინტერესებული სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოს მიერ.

2) ის თანხა, რაც მიღებული იქნება:

ა) სწავლის ფულის გადახდისაგან;

ბ) სასწავლებლის წარმოებითი მუშაობის შემოსავლით (მამული, სახელოსნო, ლაბორატორია);

გ) სხვა წყაროებიდან (შეწირულება, ლექცია, წარმოდგენა და სხვ.);

შენიშვნა 1-ლი კარის „გ“ პუნქტში და მე-2 კარის „ა“, „ბ“, და „გ“ პუნქტში აღნიშნული სახსარი შეადგენს ტენიკუმის სპეციალურ ფონდს. ამ ფონდიდან სახსარის დახარჯვა სწარმოებს განათლების სახ. კომისარიატის მიერ ამ საგანზე გამოცემული ინსტრუქციის თანახმად.

7. ტენიკუმების შტატი დამტკიცდება კანონით დადგენილი წესისამებრ.

8. ყოველ ტენიკუმთან მოეწყობა სასათანადო სასწავლო-დამხმარე დაწესე-

ბუღალტერი (სახელოსნო, ლაბორატორია, კაბინეთი და სხვ.), რომელიც ტენნიკუმის ადმინისტრაციის გამგებლობაში იმყოფებოდა. აღნიშნულ დაწესებულებათაგან ტენნიკუმის შემოსავლად მიღებული თანხის დახარჯვა და აგრეთვე ტენნიკუმის კუთვნილი შენობისა, სულიერი და უსულო ინვენტარისა და საერთოდ ყოველგვარი ქონების გაყიდვა ან გადაცემა მოხდება განათლების სახ. კომისარიატის პროფგანათლების მთავარმმართველობის ნებართვით.

9. ტენნიკუმს, დაკისრებულ მოვალეობათა ფარგლებში, აქვს იურიდიული პირის ყველ აუფლება.

ტენნიკუმს აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღებრბის გამოსახულებით.

II. ტენნიკუმის მმართველობა.

10. ტენნიკუმის გამგე და მისი თანაშემწე (იგივე სასწავლო ნაწილის გამგე) დაინიშნება განათლების სახ. კომისარიატის მიერ, პროფგანათლების მთავარმმართველობის წარდგენით, სათანადო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

11. ტენნიკუმის უშუალო გამგებლობა დაეკისრება გამგეს, რომელიც თითონ არის პასუხისმგებელი ტენნიკუმისა და მასთან არსებული ყველა სასწავლო-დამხმარე დაწესებულების მდგომარეობისა და მოქმედებისათვის. კერძოდ, გამგეს დაეკისრება:

ა) სისრულეში მოიყვანოს განათლების სახ. კომისარიატისა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა ვანკარგულებანი და პედაგოგიური საბჭოს დადგენილებანი;

ბ) უთიერთობა იქონიოს და მიწერ-მოწერა აწარმოოს დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან;

გ) წარუდგინოს ადგილობრივ ხელისუფლებას ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ცნობები ტენნიკუმის შესახებ;

დ) გასწიოს თავმჯდომარეობა პედაგოგიური საბჭოს სხდომაში და წარუდგინოს მას განსახილველად სათანადო პედაგოგიური და სამეურნეო ხასიათის საკითხები;

ე) აირჩიოს კანდიდატი მასწავლებლისა და ტენნიკუმის დამხმარე დაწესებულების გამგის თანამდებობისათვის, პრეზიდენტთან შეთანხმებით, და წარუდგინოს იგი, სახალხო განათლების სამაზრო განყოფილების მეშვეობით, პროფგანათლებს მთავარმმართველობას თანამდებობაზე დასამტკიცებლად.

12. ტენნიკუმის გამგის თანაშემწე (იგივე სასწავლო ნაწილის გამგე) გამგის უახლოესი თანამშრომელია და გამგის ტენნიკუმში არყოფნის დროს მის მაგიერობას ეწევა.

გამგის თანაშემწე თავისი მოქმედებისათვის იხელმძღვანელებს განათლების სახ. კომისარიატის მიერ გამოცემულ განსაკუთრებულ ინსტრუქციით.

III. ტენნიკუმის საბჭო.

13. ტენნიკუმის სასწავლო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო მოქმედებას-

თან დაკავშირებული საკითხების განსახილველად და ვასარჩევად მოეწყობა ტეხნიკუმის საბჭო.

14. საბჭოში, რომელსაც ტეხნიკუმის გამგე თავმჯდომარეობს, შედიან:

- ა) ტეხნიკუმის გამგის თანაშემწე (იგივე სასწავლო ნაწილის გამგე);
- ბ) ყველა მასწავლებელი, ლაბორანტი და პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელი;
- გ) ტეხნიკუმის ექიმი;
- დ) მოსწავლეთა წარმომადგენელი იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა თვითმმართველოს დებულებით;
- ე) მოსწავლეთა ორგანიზაციის ერთი წარმომადგენელი;
- ვ) დაინტერესებული პროფკავშირის ერთი წარმომადგენელი;
- ზ) განათლების მუშაკთა კავშირის ერთი წარმომადგენელი;
- თ) სათანადო სამეურნეო ორგანოთა და დაწესებულებათა თითო წარმომადგენელი;

ი) სამაზრო პარტიული კომიტეტის ერთი წარმომადგენელი (ტფილისის გარეთ);

- კ) სახალხო განათლების განყოფილების გამგე ან მისი წარმომადგენელი;
- ლ) სათემო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (სოფლად არსებულ ტეხნიკუმში).

15. საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

- ა) მოსწავლეთა წარმატების საკითხის გამორკვევა, მათი შემდეგ კურსზე გადაყვანა და აგრეთვე კურსდამთავრებულთათვის სათანადო მოწმობის მიცემა;
- ბ) მოსწავლეთა დათხოვნა ამა დებულების 34 მუხ. „ა“ პუნქტის თანახმად;

გ) ტეხნიკუმის მუშაობის გეგმის განხილვა უახლოესი სემესტრისა ან წლისათვის;

დ) გამგისა, ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოს საბჭოს წევრის და სხვ. მიერ საბჭოში შეტანილი საკითხების განხილვა;

ე) წლიური ანგარიშისა, ხარჯთაღრიცხვისა და სამეურნეო განზრახულებათა განხილვა;

ვ) საბჭოს წევრთაგან ერთის წლის ვადით საბჭოს მდივნის არჩევა;

ზ) სათანადო შემთხვევაში ტეხნიკუმის წარმომადგენლის არჩევა ყრილობისა და კონფერენციისათვის და სხვ.;

თ) მოსწავლეთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა გამოფენის ორგანიზაცია, ექსკურსიის მოწყობა და სხვ.;

16. საბჭოს სხდომას მოიწვევს გამგე საჭიროებისადამიხედვით, ხოლო ერთხელ მაინც თვეში.

შენიშვნა. ტეხნიკუმის გამგე ვალდებულია სამი დღის განმავლობაში მოიწვიონ საბჭოს სხდომა, უკეთეს ამას მოითხოვს პროფგანათლების მთავარმმართველობა, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, სახალხო განათლების განყოფილების გამგე ან და საბჭოს წევრთა რიცხვის $\frac{1}{4}$ მაინც.

17. საბჭოს სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთეს მას საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის ნახევარი დაესწრება.

18. ტენიკუმის საბჭო ყველა საკითხს გადასწყვეტს ხმის მარტივი უმეტესობით.

შენიშვნა. უკეთეს ამა თუ იმ საკითხის გამო ხმები შუაზე გაიყო, ტენიკუმის გამგე წარუდგენს, სახალხო განათლების განყოფილების გამგის მეშვეობით, პროფგანათლების მთავარმმართველობას საბჭოს სხდომის ოქმის ვრცელ ამონაწერს საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

19. საბჭოს დადგენილებებს სისრულეში მოიყვანს ტენიკუმის გამგე. უკეთეს გამგე საბჭოს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმება, მას უფლება აქვს საკითხი საბოლოოდ გადასაწყვეტად სამი დღის განმავლობაში წარუდგინოს პროფგანათლების მთავარმმართველობას, სახალხო განათლების განყოფილების მეშვეობით.

20. ტენიკუმის საბჭო მოაწყობს პრეზიდიუმს, რომელშიაც წევრებად შედიან: ტენიკუმის გამგე (თავმჯდომარე), მისი თანაშემწე (იგივე სასწავლო ნაწილის გამგე), საბჭოს მდივანი, დაინტერესებული კავშირის წარმომადგენელი—საბჭოს წევრი და მოსწავლეთა წარმომადგენელი—საბჭოს წევრი.

21. საბჭოს პრეზიდიუმს დაეკისრება:

ა) განაგოს მთლად ტენიკუმის სამეურნეო ნაწილი, შეადგინოს წლიური ხარჯთაღრიცხვის პროექტი, განიხილოს იგი და სახალხო განათლების მეშვეობით წარუდგინოს დასამტკიცებლად პროფგანათლების მთავარმმართველობას;

ბ) წარუდგინოს ტენიკუმის მოქმედების წლიური ანგარიში პროფესიონალური განათლების მთავარმმართველობას და სახალხო განათლების განყოფილებას;

გ) გაანაწილოს მუშაობა მასწავლებელთა და თანამშრომელთა შორის, სასწავლო გეგმის თანახმად, და საერთო კონტროლი გაუწიოს მათ მოქმედებას;

დ) მიიღოს და თანამდებობიდან დაითხოვოს ტენიკუმის ტენიკური პერსონალი;

ე) დაითხოვოს მოსწავლენი ამა დებულების 33 მუხლის „გ“, „ბ“, „დ“ და „ე“ პუნქტების თანახმად.

IV. სახწავლო ნაწილი.

22. ტენიკუმის სასწავლო ნაწილს ხელმძღვანელობას გაუწევს სასწავლო ბიურო, რომელშიაც შედიან: სასწავლო ნაწილის გამგე (თავმჯდომარე), საგნობრივი კომისიების თავმჯდომარენი და მოსწავლეთა წარმომადგენელი, რომელთა რიცხვიც ბიუროს წევრთა საერთო რიცხვის $\frac{1}{3}$ -ს არ უნდა აღემატებოდეს.

საგნობრივი კომისიაში შედიან იმ საგნების მასწავლებელნი, რომელთაც ესა თუ ის საგნობრივი კომისია აერთიანებს, და მოსწავლეთა წარმომადგენელი, რომელთა რიცხვიც კომისიის წევრთა საერთო რიცხვის $\frac{1}{3}$ არ უნდა აღემატებოდეს.

თავმჯდომარეს აირჩიეს თვით კომისია თავისი შედგენილობიდან.

23. ტენიკუმის მასწავლებლად დაინიშნება ის პირი, ვისაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება (საერთო ან სპეციალური).

24. ტენიკუმების მასწავლებელნი განიყოფებიან საშტატო და არა საშტატო მასწავლებლებად.

25. ტენიკუმის საშტატო მასწავლებელთა რიცხვს განსაზღვრავს განათლების სახ. კომისარიატი.

26. როგორც საშტატო, ისე არასაშტატო მასწავლებელს თანამდებობაზე დაამტკიცებს პროფგანათლების მთავარმმართველობა (ამა დებულების 11 მუხლის „ე“ პუნქტი).

27. უკეთუ ტენიკუმში საშტატო მასწავლებლის ადგილი გაიხსნა, უპირატესობა ამ თანამდებობის დაკერისათვის ეძლევა სათანადო სპეციალობის არასაშტატო მასწავლებელს. საშტატო თანამდებობაზე დამტკიცების შემდეგ არასაშტატო სამსახურის მთელი დრო განათლების სახალხო კომისარიატში საშტატო თანამდებობაზე ნამსახურ დროდ ჩაითვლება.

V. მოსწავლეთა შესახებ.

28. ტენიკუმში მოსწავლის მიღება შეიძლება მხოლოდ 1-ლ კურსზე. პირველ კურსზე მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდანი 15-დან 17 წლამდე, რომელნიც წარმოადგენენ მოწმობას მე-2 საფეხურის 1-ლი კონცენტრის შრომის სკოლის დამთავრების შესახებ.

29. ტენიკუმში მიღების წესებსა და პირობებს შეიმუშავებს განათლების სახ. კომისარიატი (პროფგანათლების მთავარმმართველობა).

30. ტენიკუმებთან მოქმედებს მოსწავლეთა ორგანიზაციები განათლების სახ. კომისარიატის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

31. მოსწავლის კურსიდან კურსზე გადაყვანა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ მას წინა კურსის ყველა საგანი დამაკმაყოფილებლად აქვს შეთვისებული.

შენიშვნა. მესამე კურსიდან მეოთხეზე მოსწავლე გადაიყვანება მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი მიიღებს მოწმობას, რომ ყველა პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად აქვს შესრულებული.

32. მოსწავლის ერთ კურსზე მეორე წელს დატოვება შეიძლება მხოლოდ ერთხელ ტენიკუმის მთელი კურსის განმავლობაში.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნულ წესის გადახვევა შეიძლება მხოლოდ სახლხო განათლების განყოფილების ნებართვით.

33. მოსწავლე დათხოვნილ იქნება ტენიკუმიდან:

ა) უკეთუ გამოირკვა, რომ მას არ შესწევს უნარი ტენიკუმში მეცადინეობისათვის;

ბ) უკეთუ ქრონიკულ ავადმყოფობის გამო იგი მოკლებულია საშვალებას ნორმალურად შეითვისოს მეცნიერების კურსი;

ბ) უკეთუ იგი პატივსაღები მიზეზის გარეშე სისტემატიურად არ წრება მეცადინეობას;

დ) უკეთუ იგი შვებულებიდან დროზე არ დაბრუნდება;

ე) უკეთუ იგი თავისი ყოფაქცევით ხელს უშლის ტენიკუმის სწორ მუშაობას და მის ცხოვრებაში დეზორგანიზაცია შეაქვს.

34. ერთი ტენიკუმიდან მეორე ტენიკუმში გადასვლა შეიძლება მხოლოდ სამოსწავლო წლის დამდეგს და მარტოდენ პროფგანათლების მთავარმმართველობის ნებართვით, უკეთუ ამისათვის რაიმე განსაკუთრებული მიზეზი იქნება (მშობლების მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჰავის გამოცვლის აუცილებლობა, ტენიკუმის ტიპისა და მოსწავლის მიდრეკილების შეუფერებლობა და სხვ.).

35. მოსწავლე, რომელიც დამაკმაყოფილებლად შეითვისებს ტენიკუმისათვის სამოსწავლო გეგმით და პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო სასწავლო მასალას და დამაკმაყოფილებლად შეასრულებს ყველა სავალდებულო პრაქტიკულ მუშაობას, ჩათვლება კურსდამთავრებულად. ტენიკუმის საბჭო მისცემს კურსდამთავრებულს სათანადო მოწმობას, რომლითაც მას მიენიჭება ამა თუ იმ ტენიკუმის შესაფერისი სპეციალობის ტენიკოსის სახელწოდება.

შენიშვნა. გარეშე პირის (ექსტერნის) მიერ გამოცდების ჩაბარება, ტენიკუმის სრული კურსის ან რაიმე ცალკე კურსის დამთავრების შესახებ სათანადო მოწმობის მისაღებად, არ შეიძლება.

36. იმ პირს, ვინც ტენიკუმის კურსი დაასრულა და ტენიკოსის სახელწოდება მიიღო, სამწლიანი პრაქტიკული სტაჟის გავლისა და განათლების სახ. კომისარიატის სპეციალურ კომისიაში სათანადო გამოცდების დამაკმაყოფილებლად ჩაბარების შემდეგ მიენიჭება ამა თუ იმ ვიწრო სპეციალობის უმაღლესი კვალიფიკაციის ტენიკოსის სახელწოდება.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 218 №-ში 1927 წ. სექტემბრის 24.

139. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საგეგმო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საგეგმო კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დროებ. აღმ. ბ. ფაღავა.

1927 წ. სექტემბრის 14.

ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საგეგმო კომისიის
 შესახებ.

I. საგეგმო კომისია არსებობს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიასთან, რათა შეიმუშაოს საკითხები რესპუბლიკაში სახალხო ჯანმრთელობის საქმის გეგმაზე განვითარებისა და მშენებლობისა.

II. აღნიშნული ძირითადი მიზნის განსახორციელებლად საგეგმო კომისიას დაეკისრება:

- 1) შეიმუშაოს ჯანმრთელობის დარგის სტანდარტიზაციისა და გემიანობის მეთოდოლოგიის საკითხები;
- 2) ხელმძღვანელობა გაუწიოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განყოფილებათა, დაწესებულებათა და საწარმოთა, — მათ რიცხვში სამეურნეო ანგარიშზე მყოფთა, — პერსპექტიული და წლიური საწარმოო გეგმების შეიმუშავებას; განიხილოს ეს გეგმები და მათ საფუძველზე შეადგინოს ჯანსახკომის მთლიანი პერსპექტიული გეგმა. განიხილოს აგრეთვე ამავე გეგმების შესრულების ანგარიშები;
- 3) განიხილოს და შეათანხმოს ჯანსახკომის განყოფილებათა, დაწესებულებათა და საწარმოთა სახარჯთაღრიცხვო განზრახულებანი; განიხილოს აგრეთვე ჯანსახკომის ხარჯთაღრიცხვა მთლიანად;
- 4) განიხილოს ხარჯთაღრიცხვის აღსრულებისა და ფონდების განაწილების გეგმები;
- 5) განიხილოს ჯანსახკომის დაწესებულებათა და საწარმოთა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის საკითხები;
- 6) განიხილოს ჯანსახკომის კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ საწარმოთა გეგმები და ანგარიშები;
- 7) განიხილოს ადგილობრივ ჯანმრთელობის საქმის ორგანიზაციის საერთო საგეგმო საკითხები;
- 8) განიხილოს ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების პერსპექტიული და ოპერატიული გეგმები და შეუქავშიროს ეს გეგმები ჯანმრთელობის საერთო პერსპექტიულ და წლიურ გეგმას მთლად რესპუბლიკისათვის;
- 9) განიხილოს ჯანმრთელობის ადგილობრივ საქიროებათა სასუბვენციო გეგმები და სასუბვენციო დახმარების განაწილების გეგმები;
- 10) განიხილოს ჯანსახკომის მიმდინარე მუშაობის დროს აღძრული საგეგმო ხასიათის საკითხები და შეასრულოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, ჯანსახკომის კოლეგიისა და სახალხო კომისარის სპეციალური დავალებანი;
- 11) შეიმუშაოს ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების საგეგმო მუშაობისათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციები.

III. ჯანსახკომის საგეგმო კომისიის მუშაობის გეგმა შეთანხმებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სოციალურ-კულტურ-

რულ სექციის მუშაობის გეგმისთან და დამტკიცდეს ჯანსახკომის კოლეგიის ან სახკომის მიერ.

IV. ჯანსახკომის საგეგმო კომისიის შედგენილობა:

- ა) თავმჯდომარე და მისი მოადგილე დაინიშნებიან ჯანსახკომის კოლეგიის ან სახკომის მიერ;
- ბ) ჯანსახკომის განყოფილებათა გამგეები;
- ბ) მედსანშრომის კავშირის ცენ. გამგეობის 2 წარმომადგენელი;
- დ) მეცნიერული საბჭოს 1 წარმომადგენელი;
- ე) პასუხისმგებელი მდივანი.

V. საგეგმო კომისიის დადგენილებებს დაამტკიცებს ჯანსახკომის კოლეგია ან სახკომი.

შენიშვნა. იმ საკითხების ნუსხას, რაც აუცილებლად წარდგენილ უნდა იქნეს დასამტკიცებლად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში, განსაზღვრავს თვით ეს კოლეგია.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის 218 №-ში 1927 წ. სექტემბრის 27.

140. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოსთან არსებული საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტის რესპუბლიკანური საექსპერტო-საგამომცდელმო კომისიის დაარსებისა და ამ კომისიაში იმ პირთათვის გამოცდების შემოღების შესახებ, რომელნიც ყოველი უწყებისა და ყოველი ტიპის ბიბლიოთეკაში და საბიბლიოთეკო ტექნიკური მომუშავის თანამდებობაზე დაინიშნებიან.

რათა ყოველი უწყებისა და ყოველი ტიპის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო კვალიფიკაციის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მომზადების მქონე მომუშავეებით, რომელნიც საშტატო თანამდებობაზე ინიშნებიან, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოსთან არსებული საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტის რესპუბლიკანური საექსპერტო-საგამომცდელმო კომისიის შესახებ.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საექსპერტო-საგამომცდელმო კომისიის დაარსებისთანავე ყოველი ტიპის ბიბლიოთეკაში (ე. ი. სამეცნიერო, აკადემიური, პოლიტგანათლებისა, ცენტრალური და სარაიონო, რაიონულ სამკითხველოში და ყველა სხვა ბიბლიოთეკაში, ვის გამგებლობაშიაც უნდა იყოს იგი) საშტატო თანამდებობაზე უნდა ინიშნებოდეს მხოლოდ ის პირი, ვისაც ჩაბარებული აქვს აღნიშნულ კომისიაში საბიბლიოთეკო საქმის ცოდნისა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მომზადების წინასწარი გამოცდები და მიღებული აქვს ბიბლიოთეკარის ან საბიბლიოთეკო ტექნიკური მომუშავის წოდება.

3. ყველა პასუხსაგებ თანამდებობაზე ბიბლიოთეკაში ესა თუ ის პირი უნდა დაინიშნოს მხოლოდ საჯარო კონკურსის გამოცხადების წესით.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის 1927 წ. ოქტომბრის 1-დან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის თან. დრ. აღმ. ა. გვეჩქორი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. ბ. ფალავა.

1927 წ. სექტემბრის 17.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 218 №-ში 1927 წ. სექტემბრის 27.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ხოც. საბჭ. რეზ. პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს-თან არსებული ბიბლიოთეკა-საბიბლიოგრაფიო კაბინეთის საექსპერტო-სა-გამომცდელი კომისიის შესახებ.

1. საქართველოს სსრ პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოსთან არსებული ბიბლიოთეკა-საბიბლიოგრაფიო კაბინეთის საექსპერტო-საგამომცდელი კომისია შესდგება პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს, მეცნიერულ და-წესებულებათა მთავარ სამმართველოს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელთაგან და ბიბლიოთეკა-საბიბლიოგრაფიო კაბინეთის ორი წევრისაგან. კომისიის მიზნად აქვს უზრუნველპყოს ყოველი ტიპისა და ყოველი უწყების ბიბლიოთეკა სათანადო კვალიფიკაციისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მომზადების მქონე მომუშავეებით საშტატო თანამდებობაზე დასანიშნავად.

2. საექსპერტო-საგამომცდელი კომისიის დაეკისრება:

ა) მოახდინოს გამოცდები როგორც ბიბლიოთეკარისა, ისე ბიბლიოთეკო ტენიკური მომუშავეის წოდების მიღებისათვის;

ბ) დააწესოს ყოველი ტიპის ბიბლიოთეკის, ე. ი. სამეცნიერო, აკადემიური, პოლიტგანათლებისა, ცენტრალური და რაიონული, პროფკავშირული და სხვა ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარისათვის კვალიფიკაციის ხარისხი;

გ) გადასწყვიტოს საკითხები ბიბლიოთეკაში მომუშავეთა კვალიფიკაციის ხარისხის შესახებ და ბიბლიოთეკებში ბიბლიოთეკო საქმის დაყენების შესახებ; აგრეთვე შეაფასოს კონკურსის დროს კანდიდატები პასუხსაგებ ბიბლიოთეკო თანამდებობაზე დასანიშნავად.

3. საექსპერტო-საგამომცდელი კომისია მოახდენს გამოცდებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში, როგორც სხვადასხვა დაწესებულების მოთხოვნით, ისე კერძო

პირის განცხადებით. გამოცდები მოხდება წინასწარ დანიშნულ ვადაზე, იმის მიხედვით, თუ, განათლების საქმეში მომუშავეთა პროფკავშირის განსაზღვრით, როგორია მოთხოვნილება საბიბლიოთეკო მომუშავეებზე.

4. უკეთეს საქირო იქნება გამოცდების სამაზრო ცენტრში გადატანა, საექსპერტო-საგამომცდლო კომისია წარავლინებს საამისოდ თავის წევრებს ადგილობრივ.

141. დადგენილება ს. ძ. ს.

1927-28 წლის ხარჯთაღრიცხვების საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირების შესახებ.

ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 22-ს დადგენილების („ზარია ვისტოკა“-ს 1584 №-ით 1927 წ. სექტემბრის 24-სა) მე-6 მუხ. თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე მოქმედ, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთ, აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მოქმედ სააქციო საზოგადოებათ, რომელთაც რეგისტრაცია უკეთდებათ ა/კ. სფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) სამმართველოში, მოახდინონ 1927-28 წლის ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის დანიშნული თანხების შემცირება არა ნაკლებ, ვიდრე 20 % რაოდენობით 1926-27 წ. ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით.

2. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა/კ სფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში და საქართველოს სსრ სხვა უწყებათ, რომელთაც თავიანთ გამგებლობაში ჰყავთ ზემოაღნიშნული საწარმონი, აგრეთვე საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და სახელმწიფო საგეგმო კომისიას—1927-28 წლის საწარმო-საფინანსო გეგმების განხილვის დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ ზემოაღნიშნული დირექტივით.

3. საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირება უნდა მოხდეს ზემოაღნიშნული ორგანოების აპარატების გაიაფებით, რისთვისაც განხორციელდებულ უნდა იქნეს უპირატესად შემდეგი ღონისძიებანი:

ა) საგამგებლო აპარატის სტრუქტურის გამარტივება და შტატების შემცირება მუშაობის სისტემისა და მეთოდების გაუმჯობესების საფუძველზე;

ბ) წარვლინებათა რიცხვის მაქსიმალურად შემცირება და საწარვლინებო სასყიდლის გაცემისათვის არსებული წესების მტკიცედ დაცვა;

გ) სამსახურის საქმისათვის უპირატესად მასისური მიმოსვლის საშუალებათა გამოყენება;

დ) ყრილობათა და თათბირთა მოწვევასთან და მოსამსახურეობასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება;

ე) საუწყებო გამოცემათა ხარჯების მაქსიმალური შემცირება;

ვ) საგამგებლო ორგანოების სადგომების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ხარჯების რეალური შემცირება;

გ) ყოველ იმ ხარჯის სრულიად მოსპობა, რასაც კავშირი არა აქვს ხსენებული ორგანოების პირდაპირ მიზნებთან.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული ყველა ღონისძიების განხორციელებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს მომუშავეთა სამუშაო ხელფასის არსებული განაკვეთების შემცირება.

4. წინა მუხლებით გათვალისწინებული შემცირება 1927-28 წლის ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის დანიშნული თანხებისა განხორციელებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1927 წლის ოქტომბრის 1-სა, იმ პირობით, რომ აღნიშნული ხარჯები 1927-1928 წლის დასაწყისიდან გაღებულ იქნეს უკვე შემცირებულ თანხების ფარგალში.

5. დაეკისროს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს შეამოწმოს ამა დადგენილების 1-4 მუხ. აღსრულება.

6. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისარათა საბჭოებს, აგრეთვე სამარეთ-ოსეთის ავტონომიურ ოკუპის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ დადგენილებაში, რომლებითაც გათვალისწინებული იქნება ამა დადგენილების 1-3 მუხლებში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება ზემოდ განსაზღვრულ ვადაზე, და დააკისრონ სათანადო უწყებათ ამ ღონისძიებათა აღსრულება.

7. მიენდოს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს, სათანადო პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად, შეიმუშაოს ორი კვირის ვადაზე საკითხები აპარატის რაციონალიზაციის გამო დათხოვნილ მომუშავეთათვის გასასვლელი დახმარების მიცემის შესახებ 1-1^{1/2} თვიური სამუშაო ხელფასის რაოდენობით, დათხოვნილთა ხელახლად მომზადების შესახებ, რათა ისინი გამოყენებულ იქნენ სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ დაწესებულებათა და საწარმოში ოპერატიული მუშაობისათვის; მათთვის შეღავათების მინიჭების შესახებ შრომის ბირჟების მეშვეობით სამუშაოზე გაგზავნის დროს; შეღავათიანი ტარიფების შეფარდების შესახებ დათხოვნილთა ერთად ადგილიდან მეორე ადგილას სამუშაოდ გადაყვანისათვის და აგრეთვე სხვა ღონისძიებათა შესახებ დათხოვნილთათვის სამუშაოს მისაცემად და, უკეთეს საჭირო იქნება, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭოს სათანადო დადგენილებათა პროექტები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა
 საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა
 საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ს. სტეფანოვი.**

1927 წ. სექტემბრის 28.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 220 №-ში 1927 წ. სექტემბრის 29.

